ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ ოქტომბერი _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

## შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ---------- ოქტომბრის №----------წერილობითი მომართვის შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძისათვის (პირადი №53001009594), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №112-ის სამხრეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (ფართობი: 2.61 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.21.313) 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

**მუხლი 2.** ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (04.03.2022 წლის №06/03) მიხედვით, რომელიც შეადგენს 261.00 (ორას სამოცდაერთი) ლარს.

**მუხლი 3.** მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძემ (პირადი №53001009594) სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოიყენოს კიბის მოსაწყობად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

**მუხლი 4.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 5.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 6.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 7.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: **იოსებ ხახალეიშვილი**

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით**

**განმარტებითი ბარათი**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძის (15.08.2022 წ. №19/4422227164-44) განცხადება, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი N112-ის სამხრეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის, ფართობით 2.61 კვ.მ. იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში ასასვლელი კიბის მოწყობის მიზნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №112-ის სამხრეთით მდებარე ტროტუარი (ფართობი: 847.0 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.21.313).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს, მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძისათვის (პირადი №53001009594), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №112-ის სამხრეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (ფართობი: 2.61 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.21.313) 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემა.

ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე, მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძემ (პირადი №53001009594) სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოიყენოს კიბის მოსაწყობად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი